

დანართი N1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>1991 წლის 12 დეკემბრის საბჭოს 91/676/EEC დირექტივა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში:</p> <p>N1. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	<p>ამ დირექტივის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან გამოყოფილი ნიტრატებით გამოწვეული და ინდუცირებული წყლის დაბინძურების შემცირება და - ამგვარი დაბინძურების შემდგომი პრევენცია. 				ას	„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების დანართი XXVI (გარემოს დაცვა) ითვალისწინებს საქართველო ვალდებულებას

				<p>განსაზღვრულ ვადებში მოახდინოს დაახლოება 1991 წლის 12 დეკემბრის საბჭოს 91/676/EEC დირექტივასთან „სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ“, (EC) N1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად კერძო:</p> <p>მონიტორინგის პროგრამების შექმნა (მუხლი 6). დაბინძურებული წყლების ან რისკის ქვეშ მყოფი წყლების იდენტიფიცირება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრა (მუხლი 3) სამოქმედო გეგმების შემუშავება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისათვის კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა (მუხლი 4 და 5) ასევე სავალდებულო მუხლებიდან გამომდინარე დაახლოება უნდა მოხდეს შემდეგ დანართებთან:</p> <p>დანართი I; დანართი</p>
--	--	--	--	--

					II-ის A ნაწილი; დანართი III და დანართი IV
2	<p>წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის:</p> <p>(a) „გრუნტის წყალი“: ნიშნავს ყველა წყალს, რომელიც მიწის ზედაპირის ქვემოთ, გაჯერების ზონაშია და პირდაპირ კონტაქტშია გრუნტთან ან წიაღთან;</p> <p>(b) „მტკნარი წყალი“: ნიშნავს ბუნებრივ წყალს მარილების დაბალი კონცენტრაციით, რომელიც ხშირად მისაღებია სასმელი წყლის წარმოების მიზნით ადებისა და დამუშავებისთვის;</p> <p>(c) „აზოტის ნაერთი“: ნიშნავს აზოტის შემცველ ნებისმიერ ნივთიერებას, გარდა აირადი მოლეკულური აზოტისა;</p> <p>(d) „პირუტყვი“: ნიშნავს ყველა ცხოველს, რომელსაც უვლიან მათით სარგებლობის ან მათგან მოგების მიღების მიზნით;</p> <p>(e) „სასუქი“: ნიშნავს აზოტის ნაერთის, ან აზოტის ნაერთების შემცველ ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც</p>			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

<p>გამოიყენება მიწაზე, მცენარეულობის ზრდის გასაუმჯობესებლად; იგი შეიძლება მოიცავდეს საქონლის ნაკელს, თევზსაშენების ნარჩენებს და კანალიზაციის შლამს;</p> <p>(f) „ქიმიური სასუქი“: ნიშნავს სამრეწველო პროცესის შედეგად წარმოებულ ნებისმიერ სასუქს;</p> <p>(g) „საქონლის ნაკელი“: ნიშნავს პირუტყვის მიერ გამოყოფილ ნარჩენებს, ან ქვეშაგები ჩალისა და პირუტყვის მიერ გამოყოფილი მასალის ნარევს, მათ შორის, დამუშავებული ფორმით;</p> <p>(h) „მიწაზე გამოყენება“: ნიშნავს მიწაზე მასალების დამატებას, მიწის ზედაპირზე გაშლით, მიწაში შეპკურებით, მიწის ზედაპირის ქვემოთ მოთავსებით, ან მიწის ზედაპირულ შრეებში შერევით;</p> <p>(i) „აითროფიკაცია“: ნიშნავს წყლის აზოტის ნაერთებით გამდიდრებას, რაც იწვევს წყალმცენარეებისა და უმაღლესი სახეობების მცენარეების დაჩქარებულ ზრდას და წყალში არსებული ორგანიზმების ბალანსისა და შესაბამისი წყლის ხარისხის არასასურველ დარღვევას;</p>				
--	--	--	--	--

	<p>(j) „დაბინძურება“: ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან აზოტის ნაერთების პირდაპირ ან ირიბ ჩაშვებას წყლის გარემოში, რასაც შედეგად მოსდევს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ცოცხალი რესურსებისა და წყლის ეკოსისტემებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე, რაც იწვევს ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანებას, ან ხელს უშლის სხვა კანონიერ წყალმომარებას;</p> <p>(k) „მოწყვლადი ზონა“: ნიშნავს მე-3 მუხლის მე-2 პუნქრის მიხედვით გამოყოფილი მიწის ფართობს.</p>					
3.1	<p>დაბინძურების ზემოქმედების ქვეშ არსებული წყლები და წყლები, რომლებიც შეიძლება მოექცნენ დაბინძურების ზემოქმედების ქვეშ იმ შემთხვევაში, თუ მე-5 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება არ იქნება გატარებული, განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ I დანართში გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით.</p>	NI	37.2. ა.დ	<p>2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა:</p> <p>ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს:</p> <p>ა.დ) ზედაპირულ წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;</p>	ნშ	<p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა გრუნტის წყლებთან დაკავშირებით არის 2022 წელი.</p> <p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებით არის 2019 წელი.</p>
3.2	<p>წევრმა სახელმწიფოებმა, ამ დირექტივის შესახებ შეტყობინებიდან ორი წლის ვადაში, მოწყვლად ზონებად უნდა გამოეყონ მათ</p>	NI	37.2. ბ.ა	<p>2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა:</p>		

<p>3.3</p>	<p>ტერიტორიაზე არსებული მიწის ყველა ცნობილი ზონა, რომელთა დაწრეტა ხდება 1-ლი პუნქტის მიხედვით დადგენილ წყლებში და რომლებიც ხელს უწყობენ დაბინძურებას. ამ პირველადი გამოყოფის შესახებ მათ ექვსი თვის ვადაში უნდა აცნობონ კომისიას.</p> <p>თუ წევრი სახელმწიფოს მიერ, 1-ლი პუნქტის მიხედვით დადგენილი ნებისმიერი წყლები, სხვა წევრი სახელმწიფოების იმ წყლებით დაბინძურების შემოქმედების ქვეშაა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად იწვევს ამ წყლებში, წევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა წყლებიც შემოქმედების ქვეშ იმყოფება, შესაბამისი ფაქტები უნდა აცნობონ სხვა წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას.</p> <p>შესაბამისმა წევრმა სახელმწიფოებმა, სადაც ეს მიზანშეწონილია - კომისიასთან ერთად, ორგანიზება უნდა გაუწიოს კონცენტრაციას, რომელიც აუცილებელია შესაბამისი წყაროების და შემოქმედების ქვეშ არსებული წყლების დაცვის მიზნით მისაღები ზომების დასადგენად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობა.</p>		<p>ბ) 2024 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს: ბ.ა) მიწისქვეშა წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;</p>	<p>აღნიშნული დებულება შეუსაბამოა ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადასთან, გამომდინარე იქიდან რომ დაბინძურებული წყლების ან რისკის ქვეშ მყოფი წყლების იდენტიფიცირება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრის ვადა ზედაპირულ წყლებთან მიმართებით არის 2019 წელი, ხოლო კანონპროექტის მიხედვით აღნიშნული ზონების განსაზღვრა სამინისტროს მიერ გათვალისწინებულია მიწისქვეშა წყლებზე 2024 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო ზედაპირულ წყლებზე - 2023 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზონების განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს მოცემული კანონპროექტი, რომელიც მიღებული არ არის და შესაბამისად, კანონის მიღებიდან და ამოქმედებიდან სამინისტროს განესაზღვრა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მოხდება ზონების დადგენა.</p>
------------	--	--	--	---

<p>3.4</p>	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გადასინჯონ, ან შეცვალონ მოწყვლადი ზონების დანიშნულება, ხოლო მიზანშეწონილობის მიხედვით, დაამატონ დანიშნულება მოწყვლად ზონებს, სულ მცირე ოთხ წელიწადში ერთხელ, რათა გაითვალისწინონ ის ცვლილებები და ფაქტორები, რომელთა პროგნოზირებაც ვერ მოხერხდა მოწყვლადი ზონების დანიშნულების წინა განსაზღვრის დროს. მათ კომისიას ექვსი თვის ვადაში უნდა აცნობონ დანიშნულებებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების, ან მათში რაიმე დამატების შეტანის შესახებ.</p>				
<p>3.5</p>	<p>წევრი სახელმწიფოები თავისუფლდებიან განსაკუთრებულად მოწყვლადი ზონების განსაზღვრის ვალდებულებისგან, თუ ისინი ამ დირექტივის შესაბამისად, თავიანთ ეროვნულ ტერიტორიაზე შეიმუშავებენ და გამოიყენებენ მე-5 მუხლში მითითებულ სამოქმედო პროგრამებს.</p>				
<p>4.1</p>	<p>ყველა წყლებისთვის დაბინძურებისაგან დაცვის საერთო დონის უზრუნველყოფის მიზნით, წევრი სახელმწიფოები, ამ</p>	<p>N1</p>	<p>37.2. ა.ე</p>	<p>2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა: ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს:</p>	<p>ნშ ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2021 წელი, მაგრამ მინისტრი 2023</p>

<p>4.2</p>	<p>დირექტივის შესახებ შეტყობინების წარდგენიდან ორი წლის ვადაში:</p> <p>(a) შეიმუშავენ ფერმერების მიერ სოფლის მეურნეობის ნებაყოფლობით განსახორციელებელ სათანადო პრაქტიკის კოდექსს ან კოდექსებს, რომლებიც უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც სულ მცირე ვრცელდება II დანართის A ნაწილში მითითებულ პუნქტებზე;</p> <p>(b) ჩამოაყალიბებენ პროგრამას, სადაც ეს აუცილებელია, მათ შორის ფერმერთათვის უზრუნველყოფენ მომზადებას და ინფორმაციის მიწოდებას, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სათანადო პრაქტიკის კოდექს(ებ)ის გამოყენებას.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა წარუდგინონ სოფლის მეურნეობის სათანადო პრაქტიკის საკუთარი კოდექსების დეტალები, ხოლო კომისიამ აღნიშნული კოდექსების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიტანოს მე-11 მუხლში მითითებულ ანგარიშში. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომისიას, თუ იგი ამას საჭიროდ ჩათვლის, უფლება აქვს</p>		<p>ა.ე) ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება;</p>	<p>წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოფს ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება, ვინაიდან ამ გეგმის შემუშავების საფუძველი არის განსახილველი კანონპროექტი. გარდა ამისა აღნიშნული აქტივობის განხორციელება დაგეგმილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელიც იწყება 2022 წლის იანვრიდან.</p>
------------	--	--	---	---

	წარუდგინოს შესაბამისი წინადადება საბჭოს.					
5.1	მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირველადი დანიშნულების განსაზღვრიდან ორი წლის ვადაში, ან მე-3მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ყოველი დამატებითი დანიშნულების განსაზღვრიდან ერთი წლის ვადაში, წევრმა სახელმწიფოებმა, 1-ელ მუხლში მითითებული მიზნების განსახორციელებლად, უნდა შეიმუშაონ სამოქმედო პროგრამები გამოყოფილ მოწყვლად ზონებთან დაკავშირებით.	N1	37.2. ა.ე	2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა: ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს: ა.ე) ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება;	ნშ	ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2021 წელი, მაგრამ მინისტრი 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოფს ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება, ვინაიდან ამ გეგმის შემუშავების საფუძველი არის განსახილველი კანონპროექტი. გარდა ამისა აღნიშნული აქტივობის განხორციელება დაგეგმილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელიც იწყება 2022 წლის იანვრიდან.
5.2	სამოქმედო პროგრამა შეიძლება შეეხებოდეს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა მოწყვლად ზონას, ან თუ წევრი სახელმწიფო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შეიძლება შემუშავდეს სხვადასხვა პროგრამა სხვადასხვა მოწყვლადი ზონისთვის, ან ზონების ნაწილებისთვის.					
5.3	სამოქმედო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იქნეს: (a) ხელმისაწვდომი სამეცნიერო-ტექნიკური მონაცემები, უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო					

<p>5.4</p>	<p>წყაროებიდან და სხვა წყაროებიდან წარმოქმნილი აზოტის შესაბამისი რაოდენობების მითითებით;</p> <p>(b) შესაბამისი წვერი სახელმწიფოს გარემოსდაცვითი მდგომარეობა შესაბამის რეგიონებში.</p> <p>სამოქმედო პროგრამები უნდა განხორციელდეს მათი შემუშავებიდან ოთხი წლის ვადაში და უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ზომებს:</p> <p>(a) III დანართით გათვალისწინებულ ზომებს;</p> <p>(b) იმ ზომებს, რომლებიც წვერმა სახელმწიფოებმა სოფლის მეურნეობის სათანადო პრაქტიკის კოდექს(ებ)ში გაწერეს მე-4 მუხლის შესაბამისად, გარდა იმ ზომებისა, რომლებიც ჩანაცვლდა III დანართში მითითებული ზომებით.</p>							
------------	--	--	--	--	--	--	--	--

5.5	<p>სამოქმედო პროგრამათა ფარგლებში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი დამატებითი ზომები, ან გაძლიერებული ღონისძიებები, რომლებსაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ იმ შემთხვევაში, თუ სამოქმედო პროგრამათა განხორციელებაში გამოცდილების მიღების დაწყებისას, ან უკვე მიღებული გამოცდილების ფონზე ცხადი ხდება, რომ მე-4 პუნქტში მითითებული ზომები საკმარისი არ იქნება 1-ელ მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად. აღნიშნული ზომების ან ღონისძიებების შერჩევას, წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მათი ეფექტიანობა და ხარჯები სხვა შესაძლო პრევენციულ ღონისძიებებთან მიმართებით.</p>				
5.6	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეადგინონ და განახორციელონ მონიტორინგის სათანადო პროგრამები, ამ მუხლის შესაბამისად შემუშავებული სამოქმედო პროგრამათა ეფექტიანობის შეფასების მიზნით.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც იყენებენ მე-5 მუხლს მათი მთლიანი ეროვნული ტერიტორიის მასშტაბით, უნდა განახორციელონ წყლებში (ზედაპირულ და გრუნტის წყლებში) ნიტრატების შემცველობის</p>				

5.7	<p>მონიტორინგი შერჩეულ გაზომვის წერტილებზე, რაც შესაძლებელს ხდის დადგინდეს სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან გამოყოფილი ნიტრატებით დაბინძურების დონე.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა, სულ მცირე, ოთხ წელიწადში ერთხელ, უნდა განიხილონ და საჭიროების შემთხვევაში, განაახლონ სამოქმედო პროგრამები, მათ შორის ნებისმიერი დამატებითი ზომა, რომელიც მიღებულია მე-5 პუნქტის შესაბამისად. მათ კომისიას უნდა აცნობონ სამოქმედო პროგრამებში ნებისმიერი ცვლილებების შეტანის შესახებ.</p>					
6.1	<p>მოწყვლადი ზონებისთვის დანიშნულების განსაზღვრისა და აღნიშნული მოწყვლადი ზონებისთვის მინიჭებული დანიშნულების შეცვლის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა:</p> <p>(a) დირექტივის შესახებ შეტყობინებიდან ორი წლის ვადაში, მონიტორინგი უნდა გაუწიონ მტკნარ წყლებში ნიტრატების კონცენტრაციას ერთი წლის განმავლობაში:</p> <p>(i) დირექტივის 75/440/EEC მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ზედაპირული წყლების სინჯების აღების სადგურებში, ან/და სინჯების აღების</p>	N1	32.2	<p>წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა მოიცავს მონიტორინგის ერთიან ეროვნულ ქსელს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ჰიდროლოგიური, ჰიდროქიმიური, ჰიდრობიოლოგიური, ჰიდრომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის პროგრამები.</p>	ნშ	<p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა გრუნტის წყლებთან დაკავშირებით არის 2022 წელი.</p> <p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებით არის 2019 წელი.</p> <p>ვალდებულების შესრულების საფუძველს წარმოადგენს მოცემული კანონპროექტი,</p>
		N1	37.1. ა.ე	<p>1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:</p>		

<p>სხვა სადგურებში, რომლებიც წვერი სახელმწიფოების ზედაპირულ წყლებს წარმოადგენს, სულ მცირე ყოველთვიურად, ხოლო წყალდიდობების პერიოდში - უფრო ხშირად;</p> <p>(ii) სინჯების აღების სადგურებში, რომლებიც წვერი სახელმწიფოების გრუნტის წყალშემცველ ჰორიზონტებს წარმოადგენენ, რეგულარული ინტერვალებით და დირექტივის 80/778/EEC დებულებების გათვალისწინებით;</p> <p>(b) გაიმეორონ (a)-ში განსაზღვრული მონიტორინგის პროგრამა სულ მცირე ოთხ წელიწადში ერთხელ, გარდა სინჯების აღების იმ სადგურებისა, სადაც ნიტრატების კონცენტრაცია ყველა წინა სინჯში 25 მგ/ლ-ს არ აღემატებოდა და არ გამოვლენილა ახალი ფაქტორები, რომლებიც სავარაუდოდ ნიტრატების შემცველობის ზრდას გამოიწვევდა, რა შემთხვევაშიც მონიტორინგის პროგრამა უნდა გამეორდეს მხოლოდ რვა წელიწადში ერთხელ;</p> <p>(c) განიხილონ მათი მტკნარი ზედაპირული წყლების, შესართავის და სანაპირო წყლების</p>	<p>ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე:</p> <p>ა.ე) „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი“;</p>	<p>რომელიც მიღებული არ არის და შესაბამისად, კანონის მიღებიდან და ამოქმედებიდან სამინისტროს განესაზღვრება გონივრული ვადა (2023 წლის ბოლომდე), რომლის განმავლობაშიც მოხდება მოთხოვნის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით დარეგულირება შესაბამისად, კანონის მიღების შემდეგ, მომზადდება მთავრობის შესაბამისი დადგენილება, რომელიც დაარეგულირებს მონიტორინგის საკითხს.</p>
--	--	---

	აითროფიკაციული მდგომარეობა ოთხ წელიწადში ერთხელ.					
6.2	გამოყენებული უნდა იქნეს IV დანართში მითითებული გაზომვის ეტალონური მეთოდები.	N1	32.2	წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა მოიცავს მონიტორინგის ერთიან ეროვნულ ქსელს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ჰიდროლოგიური, ჰიდროქიმიური, ჰიდრობიოლოგიური, ჰიდრომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის პროგრამები.	ნშ	ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა გრუნტის წყლებთან დაკავშირებით არის 2022 წელი. ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებით არის 2019 წელი.
		N1	37.1. ა.ე	1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება: ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე: ა.ე) „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი“;		საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღების საფუძველს წარმოადგენს მოცემული კანონპროექტი, რომელიც მიღებული არ არის და შესაბამისად, კანონის მიღებიდან და ამოქმედებიდან განისაზღვრა გონივრული ვადა (2023 წლის 31 დეკემბრამდე), რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი და მოხდეს მისი მიღება მთავრობის მიერ.

					ამასთან, აღსანიშნავია, რომ გაზომვებისათვის გამოიყენება ISO 10304-1.2007 სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტი არის გაზომვის ეტალონური მეთოდების შესაბამისი. ამჟამად ხდება აღნიშნული სტანდარტით გაზომვების განხორციელება, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე და უფრო ზუსტ მეთოდს და რომლის გამოყენებაზეც თანდათან ასევე გადადიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები. (თავად დირექტივის დანართში ეტანურ მეთოდებთან დაკავშირებით გადამისამართება ხდება 1977 წლის დირექტივაზე)
7	კომისიამ შეიძლება შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები მე-5 და მე-6 მუხლებში მითითებული მონიტორინგისთვის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მარეგულირებელი პროცედურის შესაბამისად.				ას იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
8	კომისიას შეუძლია ამ დირექტივის დანართების შეცვლა სამეცნიერო და ტექნიკურ მიღწევების შესაბამისად.				ას იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

	<p>ის ზომები, რომლებიც შექმნილია ამ დირექტივის არა არსებითი ელემენტების შესაცვლელად, მიიღება რეგულირების პროცედურის შესაბამისად, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული შემოწმებით.</p>				
9.1	<p>კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს კომიტეტმა.</p>			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
9.2	<p>როდესაც მითითება ხდება ამ მუხლზე, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 და მე-7 მუხლები, მისი მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.</p> <p>1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება სამ თვეში.</p>				
9.3	<p>როდესაც მითითება ხდება ამ პუნქტზე, გამოიყენებულ უნდა იქნეს 1999/468/EC გადაწყვეტილების მე -5a მუხლის პირველიდან - მე-4მდე პუნქტები და 7-ე ხუხლი, მისი მე-8 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.</p>				
10.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა, ამ დირექტივის შესახებ შეტყობინებიდან ოთხი წლის პერიოდთან მიმართებით</p>			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

10.2	<p>და ყოველ მომდევნო ოთხწლიან პერიოდთან მიმართებით, კომისიას უნდა წარუდგინონ V დანართში მითითებული ინფორმაციის შემცველი ანგარიში.</p> <p>ამ მუხლის შესაბამისად, ანგარიში კომისიას უნდა წარუდგინოს იმ პერიოდის დასრულებიდან ექვსი თვის ვადაში, რომელსაც შეეხება ანგარიში.</p>				
11	<p>მე-10 მუხლის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კომისიამ უნდა გამოაქვეყნოს ანგარიშების რეზიუმე წვერი სახელმწიფოებისგან ამ ანგარიშების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში და აცნობოს ამის შესახებ ევროპარლამენტსა და საბჭოს. დირექტივის, კერძოდ კი III დანართში მოცემული დებულებების განხორციელებისთვის, კომისიამ, 1998 წლის 1 იანვრისთვის საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელსაც, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, თანდართული ექნება წინამდებარე დირექტივის გადასინჯვის შესახებ შესაბამისი წინადადებები.</p>			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
12.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აამოქმედონ წესები, კანონები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც აუცილებელია წინამდებარე დირექტივასთან</p>			ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა

	შესაბამისობისთვის, ამ დირექტივის შესახებ შეტყობინებიდან ორი წლის ვადაში. მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ამის შესახებ კომისიას.					
12.2	წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული ზომების მიღებისას, მათში გათვალისწინებული უნდა იყოს მითითება ამ დირექტივაზე, ან მათი ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში, მათ თან უნდა ახლდეს ამგვარი მითითება. ასეთი მითითების გაკეთების მეთოდები განისაზღვრება წევრი სახელმწიფოს მიერ.					
12.3	წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გააცნონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის იმ დებულებათა ტექსტები, რომლებსაც მიიღებენ წინამდებარე დირექტივით რეგულირებულ სფეროში.					
13	წინამდებარე დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა
დანართი I	მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წყლების იდენტიფიცირების კრიტერიუმები:	N1	37.2. ა.დ	2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა: ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს: ა.დ) ზედაპირულ წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი	ნშ	ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებით არის 2022 წელი.
A	მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წყლების იდენტიფიკაცია უნდა					

<p>განხორციელდეს, სხვებთან ერთად, შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:</p> <p>1. შეიცავს ან შეიძლება თუ არა შეიცავდეს ზედაპირული მტკნარი წყლები, კერძოდ კი სასმელი წყლის ალებისთვის გამოყენებული ან გამიზნული წყლები, მე-5 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გაუტარებლობის შემთხვევაში, ნიტრატების იმაზე მაღალ კონცენტრაციას, ვიდრე ეს დირექტივით 75/440/EEC არის გათვალისწინებული;</p> <p>2. შეიცავს თუ არა გრუნტის წყლები 50 მგ/ლ-ზე მეტ ნიტრატებს, ან შეიძლება თუ არა გრუნტის წყლები შეიცავდეს 50 მგ/ლ-ზე მეტ ნიტრატებს, თუკი მე-5 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება არ იქნება გატარებული;</p> <p>3. შეიძლება თუ არა, ბუნებრივი მტკნარი წყლის ტბები, სხვა მტკნარი წყლის ობიექტები, მდინარეების შესართავები, სანაპირო წყლები და საზღვაო წყლები იყოს ათროფიკაციულ მდგომარეობაში, ან შესაძლებელია თუ არა ისინი უახლოეს მომავალში აღმოჩნდნენ ათროფიკაციულ მდგომარეობაში,</p>	<p>NI 37.2. ბ.ა</p>	<p>ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;</p> <p>2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა:</p> <p>ბ) 2024 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს:</p> <p>ბ.ა) მიწისქვეშა წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;</p>	<p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებით არის 2019 წელი.</p> <p>აღნიშნული დებულება შეუსაბამოა ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადასთან, გამომდინარე იქიდან რომ დაბინძურებული წყლების ან რისკის ქვეშ მყოფი წყლების იდენტიფიცირება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრის ვადა ზედაპირულ წყლებთან მიმართებით არის 2019 წელი, ხოლო კანონპროექტის მიხედვით აღნიშნული ზონების განსაზღვრა სამინისტროს მიერ გათვალისწინებულია ზედაპირული წყლებისთვის 2023 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო მიწისქვეშა წყლებისთვის 2024 წლის 1 სექტემბრამდე. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზონების განსაზღვრის საფუძველს</p>
--	---------------------	--	---

	<p>თუკი მე-5 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება არ გატარდება.</p> <p>ამ კრიტერიუმების გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ:</p> <p>1. წყლებისა და ხმელეთის ფიზიკური და ეკოლოგიური მახასიათებლები;</p> <p>2. აზოტის ნაერთების გარემოში (წყალსა და ნიადაგში) ქცევის არსებული გაგება;</p> <p>3. მე-5 მუხლის შესაბამისად გატარებული ღონისძიების ზემოქმედების არსებული გაგება.</p>			<p>წარმოადგენს მოცემული კანონპროექტი, რომელიც მიღებული არ არის და შესაბამისად, კანონის მიღებიდან და ამოქმედებიდან სამინისტროს განესაზღვრა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მოხდება ზონების დადგენა.</p>
<p>დანართი II</p> <p>A</p>	<p>სოფლის მეურნეობის მოწინავე პრაქტიკის კოდი(ები)</p> <p>სოფლის მეურნეობის მოწინავე პრაქტიკის კოდექსი ან კოდექსები, რომელთა მიზანია ნიტრატებით გამოწვეული დაბინძურების შემცირება და გაერთიანების სხვადასხვა რეგიონში არსებული მდგომარეობის მხედველობაში მიღება, უნდა ითვალისწინებდეს დებულებებს, რომლებიც, იმდენად,</p>	<p>N1</p> <p>37.2. ა.ე</p>	<p>2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა:</p> <p>ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს:</p> <p>ა.ე) ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება;</p>	<p>ნშ</p> <p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2021 წელი თუმცა,</p> <p>II და III დანართებით განსაზღვრული საკითხები შესაბამისად დარეგულირდება კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესებითა და შესაბამისი სამოქმედო გეგმებით, რომელსაც</p>

<p>რამდენადაც ეს მათზე ვრცელდება, მოიცავს შემდეგ საკითხებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პერიოდები, როდესაც სასუქის მიწაზე გამოყენება მიზანშეწონილი არ არის; 2. სასუქის მიწაზე გამოყენება ციკაბო ფერდობიან გრუნტზე; 3. სასუქის მიწაზე გამოყენება წყლით გაჯერებულ, დატბორილ, გაყინულ ან თოვლით დაფარულ გრუნტზე; 4. სასუქის მიწაზე გამოყენების პირობები გამდინარე წყლების სიახლოვეს; 5. საქონლის ნაკელის შესანახი რეზერვუარების მოცულობა და კონსტრუქცია, მათ შორის წყლის დაბინძურების თავიდან აცილება საქონლის ნაკელის შემცველი სითხეების და შენახული მცენარეული მასალისგან, როგორცაა სილოსი, წარმოქმნილი თხიერი ნარჩენების ნაკადის გრუნტისა და ზედაპირულ წყლებში გადადინებისა და ჩაჟონვის გზით; 			<p>მინისტრი უზრუნველყოფს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.</p>
--	--	--	--

	<p>6. როგორც ქიმიური სასუქის, ისე საქონლის ნაკელის მიწაზე გამოყენების, მათ შორის მათი განაწილების სიჩქარისა და ერთგვაროვნების პროცედურები, რითაც შენარჩუნებული იქნება წყალში მკვებავი ელემენტების დაკარგვის მისაღები დონე.</p>					
<p>დანართი II B</p>	<p>წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ კოდექს(ებ)ში ასევე უნდა გაითვალისწინონ სოფლის მეურნეობის მოწინავე პრაქტიკის შემდეგი საკითხები:</p> <p>7. მიწათსარგებლობის მართვა, მათ შორის, თესლბუნვის სისტემების და მიწის იმ ტერიტორიის პროპორციის გამოყენება, რომელიც დათმობილი აქვს მრავალწლოვან კულტურებს, ერთწლოვან კულტურებთან შედარებით;</p> <p>8. მცენარეული საფარის მინიმალური რაოდენობის შენარჩუნება იმ პერიოდების (წვიმიანი) დროს, რომელთა დროსაც ხდება ნიადაგიდან აზოტის ათვისება, რაც სხვა შემთხვევაში წყლის ნიტრატებით დაბინძურებას გამოიწვევდა;</p> <p>9. სასუქების გამოყენების გეგმების შედგენა ინდივიდუალურად,</p>				<p>ას</p>	<p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>

	ფერმების მიხედვით და სასუქების გამოყენების აღრიცხვა;					
	10. წყლის დაბინძურების თავიდან აცილება ზედაპირზე გადამდინარე და ქვემოთ ჩამდინარე წყლის მოძრაობის შედეგად, რაც სარწყავ სისტემებში კულტურული მცენარეების ფესვებს გვერდს უვლის.					
დანართი III	მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის (ა) ქვეპუნქტში მითითებული ზომები, რომლებიც სამოქმედო პროგრამებში უნდა იქნეს გათვალისწინებული	N1	37.2. ა.ე	2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა: ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს: ა.ე) ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება;	ნშ	ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა არის 2021 წელი, თუმცა აღნიშნულ საკითხს დაარეგულირებს სამოქმედო გეგმები, რომელსაც უზრუნველყოფს მინისტრი 2023 წლის 31 დეკემბრამდე და რომლის მიღების საფუძველიც არის განსახილველი კანონპროექტი.
1	ზომები უნდა მოიცავდეს წესებს, რომლებიც უკავშირდება: 1.1.პერიოდებს, როდესაც გარკვეული ტიპების სასუქის მიწაზე გამოყენება აკრძალულია; 1.2.საქონლის ნაკელის შესანახი რეზერვუარების მოცულობას; აღნიშნული მოცულობა უნდა აჭარბებდეს იმ მოცულობას, რომელიც აუცილებელია ყველაზე ხანგრძლივი პერიოდით შენახვისთვის,					

რომლის დროსაც მოწყვლად ზონაში მისი მიწაზე გამოყენება იკრძალება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპეტენტური ორგანოების წინაშე შესაძლებელია დემონსტრირება, რომ ნაკელის ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც აჭარბებს შენახვისთვის განკუთვნილ რეალურ მოცულობას, მოცილებული იქნება იმგვარად, რომ გარემოს ზიანი არ მიადგეს;

1.3.სასუქების მიწაზე გამოყენების შეზღუდვას, სოფლის მეურნეობის სათანადო პრაქტიკის მიხედვით და შესაბამისი მოწყვლადი ზონების მახასიათებლების გათვალისწინებით, კერძოდ:

(a) ნიადაგის მდგომარეობას, ნიადაგის ტიპსა და ფერდობს;

(b) კლიმატურ პირობებს, ნალექებსა და ირიგაციას;

2	<p>(c) მიწათსარგებლობას და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას, მათ შორის, თესლბუნვის სისტემას;</p> <p>და უნდა ეფუძნებოდეს ბალანსს:</p> <p>(i) კულტურების აზოტის მიმართ პროგნოზირებად მოთხოვნილებებსა, და</p> <p>(ii) კულტურებისთვის ნიადაგიდან ან ნიადაგის განოყიერების შედეგად აზოტის მიწოდებას შორის, რაც შეესაბამება:</p> <ul style="list-style-type: none"> - ნიადაგში არსებული აზოტის რაოდენობას იმ მომენტისთვის, როდესაც კულტურა იწყებს მის გამოყენებას მნიშვნელოვანი პროპორციებით(განსაკუთრებული რაოდენობებით ზამთრის ბოლოს), - აზოტის მიწოდებას, ნიადაგში ორგანული აზოტის მარაგების სუფთა მინერალიზაციის მეშვეობით, - აზოტის ნაერთების დანამატებს საქონლის ნაკელიდან; - აზოტის ნაერთების დანამატებს ქიმიური და სხვა სასუქებიდან. <p>აღნიშნული ზომები უნდა უზრუნველყოფდეს, რომ თითოეული მეურნეობისთვის, ან თითოეული თავი პირუტყვისთვის, საქონლის</p>				
---	--	--	--	--	--

<p>ნაკელის მიწაზე გამოყენების, მათ შორის ცხოველების მიერ ნაკელის მიწაში გავრცელების წლიურმა რაოდენობამ არ გადააჭარბოს თითოეული ჰექტარისთვის განსაზღვრულ რაოდენობას.</p> <p>ერთ ჰექტარზე განსაზღვრული რაოდენობა წარმოადგენს ნაკელის რაოდენობას, რომელიც შეიცავს 170 კგ. N-ს (კილოგრამ აზოტს), თუმცა:</p> <p>(a) პირველი ოთხწლიანი სამოქმედო პროგრამის განმავლობაში, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია დაუშვან იმ რაოდენობის ნაკელი, რომელიც შეიცავს 210 კგ. N-ს (კილოგრამ აზოტს);</p> <p>(b) პირველი ოთხწლიანი სამოქმედო პროგრამის განმავლობაში და მის შემდეგ, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დააწესონ ზემოთ მითითებული რაოდენობებისგან განსხვავებული რაოდენობები. აღნიშნული რაოდენობები უნდა დაწესდეს იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს 1-ელ მუხლში მითითებული მიზნების მიღწევას და მათი დასაბუთება უნდა მოხდეს მიზნების კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა მაგალითად:</p>							
--	--	--	--	--	--	--	--

	<p>- ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდები,</p> <p>- აზოტის მაღალი ათვისების მქონე კულტურები,</p> <p>- მოწყვლად ზონაში ნალექის მაღალი ფაქტობრივი ოდენობა,</p> <p>- ნიადაგების დენიტრიფიკაციის განსაკუთრებულად მაღალი უნარიანობა.</p> <p>თუ წვერი სახელმწიფო დაუშვებს (b) ქვეპუნქტის მიხედვით განსხვავებულ რაოდენობას, მან აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს კომისიას, რომელიც შეამოწმებს დასაბუთებას მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.</p> <p>წვერ სახელმწიფოებს, მეორე პუნქტში მითითებული რაოდენობების გამოთვლა შეუძლიათ ცხოველთა რიცხვის საფუძველზე.</p> <p>წვერმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ იმ მეთოდის შესახებ, რომლის მიხედვითაც ისინი იყენებენ მე-2 პუნქტის დებულებებს. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომისიას, თუ ის აუცლებლად მიიჩნევს, უფლება აქვს, შესაბამისი</p>				
3					
4					

	წინადადებებით მიმართოს საბჭოს მე-11 მუხლის შესაბამისად.					
დანართი IV	<p>გაზომვის ეტალონური მეთოდები</p> <p>ქიმიური სასუქი</p> <p>აზოტის ნაერთები უნდა გაიზომოს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც აღწერილია კომისიის 1977 წლის 22 ივნისის 77/535/EEC კომისიის დირექტივაში, წევრი სახელმწიფოების იმ კანონების დაახლოების შესახებ, რომლებიც შეეხება სასუქების ნიმუშების აღებისა და ანალიზის მეთოდებს, რომელშიც შესწორებები შევიდა 89/519/EEC დირექტივით.</p> <p>მტკნარი წყლები, სანაპირო წყლები და საზღვაო წყლები</p> <p>ნიტრატების კონცენტრაცია უნდა გაიზომოს გაერთიანების ზედაპირული მტკნარი წყლის ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმოცვლის ერთიანი პროცედურის დაწესების შესახებ 1977 წლის 12 დეკემბრის 77/795/EEC საბჭოს გადაწყვეტილების მე-4a მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რომელშიც შესწორებები შევიდა 86/574/EEC გადაწყვეტილებით.</p>	N1	32.2	<p>წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა მოიცავს მონიტორინგის ერთიან ეროვნულ ქსელს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ჰიდროლოგიური, ჰიდროქიმიური, ჰიდრობიოლოგიური, ჰიდრომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის პროგრამები.</p>	ნშ	<p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა გრუნტის წყლებთან დაკავშირებით არის 2022 წელი.</p> <p>ასოცირების შეთანხმების XXVI დანართის თანახმად, აღნიშნულ მუხლთან დაახლოვების ვადა ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებით არის 2019 წელი.</p> <p>ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების საფუძველს წარმოადგენს მოცემული კანონპროექტი, რომელიც მიღებული არ არის და შესაბამისად, კანონის მიღებიდან და ამოქმედებიდან სამინისტროს განესაზღვრება გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მოხდება მოთხოვნის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით დარეგულირება, კერძოდ 2023 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს</p>
		N1	37.1. ა.ე	<p>1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება:</p> <p>ა) 2023 წლის 31 დეკემბრამდე:</p> <p>ა.ე) „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი“;</p>		

					<p>„წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესის მიღებას.</p> <p>ამასთან, აღსანიშნავია, რომ გაზომვებისათვის გამოიყენება ISO 10304-1.2007 სტანდარტი.</p> <p>აღნიშნული სტანდარტი არის გაზომვის ეტალონური მეთოდების შესაბამისი. ამჟამად ხდება აღნიშნული სტანდარტით გაზომვების განხორციელება, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე და უფრო ზუსტ მეთოდს და რომლის გამოყენებაზეც თანდათან ასევე გადადიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები. (თავად დირექტივის დანართში ეტალონური მეთოდებთან დაკავშირებით გადამისამართება ხდება 1977 წლის დირექტივაზე)</p>
<p>დანართი V</p> <p>1</p>	<p>ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს მე-10 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშები</p> <p>განცხადება მე-4 მუხლის თანახმად განხორციელებული პრევენციული ქმედების შესახებ.</p>				<p>ას</p> <p>იხ. დირექტივის პირველი მუხლის მე-7 სვეტის შენიშვნა</p>

2	<p>რუკა, რომელზეც მოცემულია შემდეგი მონაცემები:</p> <p>(a) მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და I დანართის შესაბამისად იდენტიფიცირებული წყლები, სადაც თითოეული წყლისთვის მითითებულია, თუ I დანართში მოცემული რომელი კრიტერიუმი იყო გამოყენებული იდენტიფიცირების მიზნებისთვის;</p> <p>(b) გამოყოფილი მოწყვლადი ზონების ადგილმდებარეობა, სადაც გამიჯნული იქნება არსებული ზონები და ის ზონები, რომელთა გამოყოფა წინა ანგარიშის შემდეგ მოხდა.</p>			
3	<p>მე-6 მუხლის შესაბამისად მიღებული მონიტორინგის შედეგების რეზიუმე, მათ შორის იმ მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია, რომელთა მიხედვითაც მოხდა თითოეული მოწყვლადი ზონის გამოყოფა და მოწყვლადი</p>			

<p>4</p>	<p>ზონების დანიშნულებებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, ან ახალი დანიშნულების დამატება.</p> <p>მე-5 მუხლის შესაბამისად შედგენილი სამოქმედო პროგრამების რეზიუმე, კერძოდ:</p> <p>(a) მე-5 მუხლის მე-4 პუნქის (a) და (b) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები;</p> <p>(b) III დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია;</p> <p>(c) ნებისმიერი დამატებითი ზომები და გაძლიერებული ღონისძიებები, რომლებიც მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განხორციელდა;</p> <p>(d) მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის</p>			
----------	---	--	--	--

	<p>პროგრამების შედეგების რეზიუმე;</p> <p>(e) წვერი სახელმწიფოების მიერ გამოთქმული მოსაზრებები სავარაუდო ვადებთან დაკავშირებით, რომელთა განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად იდენტიფიცირებულმა წყლებმა უპასუხონ სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებულ ზომებს, ამ მოსაზრებებში გათვალისწინებული გაურკვევლობის ხარისხის მითითებასთან ერთად.</p>				
--	---	--	--	--	--